სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის მარიამ ოზიაშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	86	100

გიორგი გზობავა

თარიღი : 06.12.2024ნ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„6“ დეკემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **მარიამ ოზიაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით, დარეგისტრირდა **მარიამ ოზიაშვილი.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 3 დეკემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **მარიამ ოზიაშვილის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ამავე ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

<u>1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</u>

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, **მარიამ ოზიაშვილი** გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, კომპეტენტურობით, მიზანდასახულობით, არის მშვიდი, დინჯი და გაწონასწორებული, გააჩნია მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა და საქმისადმი სიყვარული. მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად, თუმცა გამოკითხულთაგან ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ და ნაკლოვანებად მიუთითებს მისი აკადემიური მიღწევების განვითარების საჭიროებას. ასევე, ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუტედ და ნაკლოვანებად ასახელებს, ზოგიერთ შემთხვევაში, მის მეტისმეტად მაღალ ცნობისმოყვარეობას და საქმის გარემოებების იმაზე მეტად და ღრმად შესწავლის სურვილს, ვიდრე ამას შესაძლოა კონკრეტული საკითხი მოითხოვდეს. ასევე, მიუთითებს, რომ კანდიდატს ზოგჯერ გამოსავლის ძებნაში ახასიათებს პრობლემაზე ჩაციკვლა.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში, **მარიამ ოზიაშვილს** უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ხუთი ფაქტი, დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **მარიამ ოზიაშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

<u>2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>2.1. სამართლის ნორმების ცოდნა</u>

მარიამ ოზიაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 79/17.
- რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - 2.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - „მიუხედავად იმისა, რომ *სისხლის სამართალი* არ არის ძირითადი სპეციალიზაცია მაღალ დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. მეტწილად ზუსტად ასრულებს დაკისრებულ სამუშაოებს/მოვალეობებს, იშვიათად უშვებს შეცდომებს. გონივრულ დროში შეუძლია საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების ამოხსნა, ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობის შემოწმების შემდეგ, გონივრულ დროში იღებს ლოგიკურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

შესაფასებელმა პირმა საუკეთესოდ შეძლო პრიორიტეტების განსაზღვრა და წარმოაჩინა მუდმივი მზადყოფნა მაღალი დატვირთულობისთვის. იგი გაწონასწორებული და გონებაგახსნილი ადამიანია. ახალ ინფორმაციას და მასალას ძალიან ადვილად ითვისებს და აანალიზებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ორგანიზებულობის უნარი და თანამიმდევრულობა. *ადმინისტრაციულ სამართალში* - მარიამ ოზიაშვილს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. შესაფასებელი პირი თავის გადაწყვეტილებებში არის სწრაფი და დამაჯერებელი. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სწორად, აზრობრივად ქრონოლოგიურად დალაგებულია. *სამოქალაქო სამართალში* - მარიამ ოზიაშვილს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და მას იყენებს პრაქტიკაში საჭიროებისამებრ. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების და განჩინებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. დასაბუთებულია უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებებით, საჭიროების შემთხვევაში. მსჯელობს ლოგიკურად, აზრს ნათლად და მკაფიოდ გადმოსცემს. არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. შეუძლია სამართლებრივი პრობლემის სწორად დანახვა, მასზე კონცენტრირება და გადაწყვეტა. შესაფასებელ პირს აქვს მაღალი კვალიფიკაცია და უნარი სამართლებრივი საკითხი გადაწყვიტოს დამოუკიდებლად."

მარიამ ოზიაშვილთან გასაუბრებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალის ნორმებს, საპროცესო კანონმდებლობას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და ადამიანის უფლებებს. კანდიდატი ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენაზე სწორად განმარტა დასმული შეკითხვების დროს წამოჭრილი სამართლებრივი საკითხები.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიამ ოზიაშვილი** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სასამართლო სისტემაში მუშაობის თორმეტწლიანი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, მას კარგად აქვს განვითარებული სამართლებრივი დასაბუთების უნარი, აქვს კომპეტენცია, სწორი სამართლებრივი შეფასებებისათვის, მის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტი ყოველთვის არის უმაღლეს პროფესიულ დონეზე შესრულებული.

კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნებისა და აზრის კვალიფიციურად გადმოცემის უნარი, შეუძლია სამართლის სხვადასხვა სფეროში აქტუალურ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობა.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიამ ოზიაშვილი** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

მარიამ ოზიაშვილს გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. კანდიდატი გასაუბრებისას მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. კანდიდატის წერის უნარს რაც შეეხება, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სათანადო წერის უნარი. კერძოდ, იგი აზრს გადმოსცემს ნათლად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად. ტექსტი არის გამართული და დაინტერესებული პირებისათვის არ არის რთულად აღქმადი.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - მარიამ ოზიაშვილის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებებისა თუ სხვა საპროცესო დოკუმენტების პროექტები შედგენილია სწორი საპროცესო ფორმით. აქვს სტილისტურად გამართული და გრამატიკულად სწორად წერის ჩვევა, რაც უფრო ნათელს და გასაგებს ხდის მის მიერ მომზადებულ დოკუმენტს. შესწევს უნარი საქმის რთული გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს. გადაწყვეტილებების პროექტების წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, გამართულად აყალიბებდა აზრს, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები. მარიამ ოზიაშვილს შესწევს უნარი საქმის გარემოებები, მიუხედავად საქმის სირთულის და მოცულობისა, სტრუქტურულად ჩამოაყალიბოს. მისი სამართლებრივი მსჯელობა არის გასაგები და ყურადღებას ამახვილებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე. მეტწილად ლაკონიურად გადმოსცემს აზრს, შესწევს უნარი საქმის ვითარება ასევე, სამართლებრივი არგუმენტაცია საშუალო სირთულით გასაგებად გადმოსცეს ზეპირად. არ უჭირს კომუნიკაცია. შესწევს უნარი საქმის გარემოებები მასში არსებული პრობლემები ჩამოაყალიბოს სრულყოფილად, მშვიდად და თანმიმდევრულად. ამასთან ზეპირსიტყვიერად ამომწურავად გადმოსცემს აზრს და შემდეგ მოკლე შეჯამებას ასახავს წერილობით.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიამ ოზიაშვილი** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის კომპეტენტური, შრომისმოყვარე, თავმდაბალი, გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულია და მუდმივად მუშაობს საკუთარ თავზე.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიამ ოზიაშვილი** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

მარიამ ოზიაშვილი არის ღია სიახლეების მიმართ, ორიენტირებულია თვითგანვითარებაზე, გამოქვეყნებული აქვს სტატია: „კანონის ცოდნის პრეზუმფცია ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში მონაწილე კერძო პირებთან მიმართებით" - საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო - პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი" (№2(78)23.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

მარიამ ოზიაშვილს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები, მან ასევე გაიარა მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი და ჩააბარა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა.

დასკვნა: აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიამ ოზიაშვილი** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 10).

2.6. პროფესიული აქტივობა

მოცემული კრიტერიუმებით **მარიამ ოზიაშვილის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატს გააჩნია პროფესიული ზრდის სურვილი, ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო კურსში, კერძოდ:

- საგადასახადო სამართლის რიგი საკითხები - EU4justice, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2020 წელი;
- სახელმწიფო პასუხისმგებლობა - IRZ (გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი, 2019 წელი;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების იმპლემენტაცია - USAID, PROLOG, EU4justice, 2019 წელი და სხვა.

დასკვნა: პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მარიამ ოზიაშვილი** უნდა შეფასდეს 3 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **მარიამ ოზიაშვილი** **სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა 86 (ოთხმოცდა ექვსი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი